



საქართველოს

ცენსურის კანონი

თფილისი, თავისუფლების მოედანი (ყოფ. ვრჯენის № 3 საკრედიტო სახ.—ბის სახლი, ტელეფ. 3-46).

პირითა და კაპიტალით 30.000,000

დაიწყო თავისი მოქმედება და კომერციული ბანკების ყველა ოპერაციები. იღებს შესანახად შეტანილ ფულს ვადით და უვადოთ, უპროცენტო და პირობით მიმდინარე ანგარიშებს, მანეთ ბონებს და უცხო ვალიუტას და იძლევა მათ დაუფლებელი პირები მოთხოვნილობებისათვის.

იღებს და იძლევა გადასახლად ფულს და აკრედიტაციას საქართველოს ყველა ქალაქებში და უცხოეთისთვის. ყიდულობს და ყიდის მონეტარული ბონებით უცხოეთის ვალიუტას.

ანაღლებს ფასიან ქაღალდებს, ვეკისლებს საფაქრო ვალდებულებათა და სხვ.

მენტრობანთან არის ფოლად გაკრული საწყობები.

ოპოზიცია ნოე ჟორდანიას პარტიაში.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არ არის ყველაფერი რიგზე, ამას მოწმობს ის მოხსენება, რომელიც წაიკითხა ქართულ „მედიკალი“ ჟურნალში ნ. ჟორდანიამ 25 მარტს თფილისის სოც.-დემ. ორგანიზაციათა თათბირზე.

ამას მოწმობს აგრეთვე ის მეთაური „პარტიული ოპოზიციის“ შესახებ, რომელიც უძღვნა ამ თათბირს გაზეთ „ერთობაში“.

ბ. ნ. ჟორდანიამ ამბობს: „ჩვენი პარტიის მუშაობა ამ უკანასკნელ დროს მოღუბნულია და არც საკმაო ერთსულოვნობას აქვს ადგილი ჩვენს შორის; ხშირად სხვა და სხვა ორგანოებში მომუშავე ამხანაგები მოქმედებენ ჩვენთან შეუთანხმებლად და ხანდისხან ზეგნით წინააღმდეგადად. მაგალითად ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეების, საშურის რკინის გზების და სხვა გაფიცვები; ასეთ გამოსვლებს აწყობენ ისევე ჩვენი ამხანაგები. ქუთაისში რომ წიყოს ნამდვილი პარტიული ორგანიზაცია, ამ საქმის დამწყებნი პარტიიდან გაქვევებული იქმნებოდნენ. ჩვენ ბოლშევიკების მიწი არა გვაქვს. ბოლშევიკები იგივენი ვერაფერს დაგვაკლებენ, იგინი ჩვენ ავტომატურად ისევე ჩვენი ამხანაგების საშუალებით. უეჭველია ჩვენს პარტიაში მათ ყავთ შემოინიღები, რომელნიც მიგინდნენ ცდილობენ ჩვენს დარღვევას. შეუძლებელი საქმეა, რომ პარტიამ ჯერ წამოაყენოს მთავრობა, დამფუძნებელი კრება და შემდეგ მათ წინააღმდეგ იმოქმედოს, მათ გაფიცვები მოუწყოს“.

გაზეთი „ერთობა“ თავის მხრივ ადასტურებს რომ სოც.-დემ. პარტიული ოპოზიცია ლახავს კრიტიკის საზღვარს, „დაუყოვნებლივ მოქმედებაში გადადის“, დემოკრატიზაცია შეაქვს ხალხში და პარტიულ თლიანობის დარღვევას შეუძლია ჩვენი დამხობა პოლიტიკურად“.

რაშია საქმე? რატომ განდა ოპოზიცია ნ. ჟორდანიას პარტიაში? ბ. ნ. ჟორდანიას თქმით, ოპოზიცია პოლიტიკით კი არაა უკმაყოფილო არამედ მარტო ეკონომიკით.

საზოგადოებაში ამის შესახებ სხვა ხმებიც დადის: ამბობენ, მემარცხენე ოპოზიცია დამფუძნებელი კრების დაშლასაც მოითხოვს და მის მაგიერ „მუშათა და გლეხთა საბჭოების“ აღდგენას. ამ ოპოზიციის მოზარეთ ასახელებენ უმთავრესად გვარდიის წრეებს.

ამას წინადა თფილისში გამოვიდა ჟურნალი „ზაპისკი რევოლუციონერა“, რომელიც სწერდა; დამფუძნ. კრების სოც.-დემ. ფრაქციაში ოპოზიციას 20 წევრი ემხრობა.

მართალია, არის ხმები, რომ ნ. ჟორდანიას პარტიაში მოქმედებს მემარჯვენე ოპოზიცია, რომელიც მომხრეა, რომ მთავრობა პირდაპირ „ბურჟუაზიულ“, არასოციალისტურ წრეების ხელში გადავიდეს;

ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ მარტო ეკონომიურ საკითხებში არ არის ჩათხრილი ს.-დ. ოპოზიციის თავი;

მაგრამ მივყვით ბ. ნ. ჟორდანიას მტკიცებას, რომ მის პარტიაში უკმაყოფილოებს მარტო ეკონომიკა აინტერესებთ;

რაშია საქმე? როგორი ეკონომიკა უნდა ს.-დ. ოპოზიციას? როგორც ბ. ნ. ჟორდანიას მოხსენებიდან სჩანს, მის ოპოზიციას უნდა ეხლავე სოციალისტური მეურნეობის შემოღება და კერძო კაპიტალის ჩამორთმევა სახელმწიფოს, ესე იგი პროლეტარების, სასარგებლოდ.

ბ. ნ. ჟორდანიამ აფრთხილებს თავის ამხანაგებს: მუშები უმცირესობაა, უმრავლესობა სოფლის მესაკუთრე გლეხებია; და სოფელი ჩვენ ქალაქს დაამშვეს, პურს არ მოგვცემს, თუ ანგარიში არ გაუწიეთო! მოვითმინოთ, ჯერ-ჯერობით მხოლოდ თან და თან გავამაგროთ სახელმწიფო და ქალაქ-ქრო-

ბათა მეურნეობა; კერძო კაპიტალისტებმაც თავიანთი საქმე აკეთონ და რომ დააგროვებენ საქმარ სიმდიდრეს, მერე მოვანდინოთ სოციალიზაცია, თუ ვერობაც ამ გზას დაადგაო.

ამ მშვენიერ ამბების დასრულებას ბ. ნ. ჟორდანიამ პირდაპირ მაღავე მოსულ პროლეტარულ ამხანაგებს მხოლოდ 30-40 წლის განმავლობაში.

მაგრამ ბ. ნ. ჟორდანიას გაკვირება იმაშია, რომ 30-40 წელიწადის მარტო საქართველოს პროლეტარ მუშებს აღარ სურთ: უნდათ თავიანთ სიცოცხლეშივე მოეწყონ ამ მშვენიერ საქმეებს და რადგან მთავრობა, დამფუძნებელი კრება, გვარდია და მთელი რესპუბლიკა მუშათა პარტიის ხელშია, მოთხოვენ, რომ მთავრობამ ეხლავე დაწყოს ეს სოციალისტური ოპერაციები, რომელიც როგორც მოგვსენებთ, მხოლოდ ერთ ქვეყანაში განხორციელებული ბოლშევიკურ რუსეთში.

აი აქ არის ტრაგედია ბ. ჟორდანიას პოლიტიკისა; მთავრობის ძალა-უფლება ათრობს საქართველოს პროლეტარატს და ის პოლიტიკურ ბატონობასთან ერთად ეკონომიურ ბატონობასაც მოითხოვს; მაგრამ ეკონომიურ გაბატონება ნიშნავს კომუნისმს, და აქ იხადება ის იდეა, რომ ქართული მენშევიზმი უნდა შეუკავშირდეს, უნდა გაერთიანდეს ბოლშევიკურ რუსეთთან და არა 30 წლის შემდეგ დასტკებება ბურჟუაზიისგან ჩამორთმეული სიმდიდრით, არამედ დღესვე.

მეტსაც ვიტყვით: თვით ბოლშევიკური რუსეთიც ანგარიშობს ამას და იმედი აქვს, რომ ლეჩინის ყოფილი ამხანაგები, ქართველი მენშევიკები აღრე თუ გვიან სოციალისტური, პროლეტარული გზით შეიყვანებენ საქართველოს რუსეთის რესპუბლიკაში.

შეიძლება ამით აიხსნება ის, რომ საქართველოსთან დამოუკიდებლობაზე ბოლშევიკები არაფერს ამბობენ, როდესაც ისინი უკვე შერიცდნენ ვსტონის, ლიტვის, პოლონეთის დამოუკიდებლობას და თვით აქვრებიჯანსაც კი პირდაპირ ამას.

„დღეს მხოლოდ ორ ქვეყანას უდგას სათავეში რევოლუციონური პარტია—რუსეთს და საქართველოს. იქ ბოლშევიზმი. აქ მენშევიზმი“—ამბობს ბ. ნ. ჟორდანიამ.

დიახ! საქმეც ამაშია! და სწორედ იმიტომ ურიგდებიან ბოლშევიკები ყველა მხოლოდ რესპუბლიკებს, სადაც მთავრობა ნაციონალისტურია, არა სოციალისტური, და არ ურიგდებიან საქართველოს.

საქართველოს რესპუბლიკაში ბოლშევიკებს ეგულებათ მთავრობაში მენშევიკური პარტია, რომლის გაბოლშევიკება ჯერ ეკონომიურად (გაკომუნისტება) და შემდეგ პოლიტიკურად (რუსეთთან მიყვანა) მათ შესაძლოთ მიაჩნიათ.

რეორგანიზაცია მთავრობისა და ძალა-უფლების განაწილება, კოალიცია არა სოციალისტურ, ნაციონალურ წრეებთან უსათუოდ ისეთსავე რელსებზე დაყენება ლენინის ჩიჩერინის პოლიტიკა, რომელზედაც დგანან ისინი, როცა სხვა რესპუბლიკების არასოციალისტურ მთავრობებს ელაპარაკებიან.

ლენინ-ჩიჩერინმა იციან, რომ მხოლოდ არასოციალისტურ, ნაციონალურ მთავრობებს შეუძლიათ ისე „გაუჭირონ საქმე“ რუსეთს, როგორც გაუჭირა ვსტონიამ და საპატოო ზავს კი მხოლოდ მათთან კრავენ ხოლმე, ვინც საქმეს გაუჭირებს.

მიმოხილვა

გორაკების განაპირი

გაზეთ „საქართველოს რეპორტიორი“ დ. პ. აგვიფერს იმ ნაღმს, რომელიც მოუწყვიათ გორში მთავრობის რწმუნებულის პატივცემულ ექ. მიხეილ ზანდუკელის გამოათხოვრად. ნაღმზე თამადა არჩეული ყოფილა ექ. მიხ. კობერიძე.

პირველად, წინააღმდეგ საკონსტიტუციო რეგლამენტისა, დაუღვეიოთ სადღეგრძელო რესპუბლიკის მთავრობისა, დამფუძნებელი კრების კი მხოლოდ მესამე სადღეგრძელო ყოფილა. ტოსტებს აღფრთოვანებული ტაში და მეფანდურეთა „ტუში“ მოყოლია.

დაუღვეიოთ სოლოგრძელოებს აგრეთვე თვით ბ. ნ. კობერიძის, ექ. გაღმასფილის, მირზაშვილის, აგრეთვე ე. აბაბათა, ქალაქთა, გვარდიისა და სოფლის წარმომადგენელთა და სხვ.

ამასობაში გათენებულა კიდევ... ქვეშაირიტად გორის „ღირსეულ და დამსახურებულ მოღვაწეთა“ გმირული ხასიათი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ასე ბრწყინვალედ ჩაატაროს „ширш во первом чумы“ დანგრეულ გორში, სადაც ამასთანავე მიწა თითქმის ყოველ საათში იმძრევა თურმე.

იმედია, ამ ბანკეტის ანგარიში მიწის ძვრის დამხმარე კომიტეტს არ წარედგინება გადასახდელად.

კაუჭი და მისი გეულა

„ერთობაში“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება კარლ კაუჭის წვეულებას ცოლითა და შვილითურთ საქართველოს ელჩთან ვლ. ახმეტელაშვილთან

„საელჩოს ბინაზე შეკრებილნი სულიერი კრძალვით ველოდებოდით საერთაშორისო დემოკრატიის ბელადს.

აღსრულდა ჩვენი ნატვრაც გვესტუმრა კარლ კაუჭი...

—გაგაცნობთ იშვიათ სტუმარს, კ. კაუჭის—ამბობს ვლ. ახმეტელაშვილი. კაუჭი თითო-თითოთ ყველას ართმევს ხელს.

—ჩვენკელი?—კითხოვლობს კაუჭი —დიახ, ჩვენკელი, ძმა აკაკისა.

აკაკი ჩვენკელის გაგზნება, სჩანს, სიამოვნებს კაუჭის. გვეცნობა კ. კაუჭის ცოლი სიამოვნებით მოიგონებს ვლასა მეგლადისს.

როგორი სხვა და სხვა გემო ჰქონიათ კაუჭისა და მის მეუღლეს!

როგორი სხვა და სხვა გემო ჰქონიათ კაუჭისა და მის მეუღლეს!



